ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 სექტემბერი, კვირა, 1987 წ.
№ 186 (9597) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## უპირატესობა უნდა შევინარჩუნოთ

**თბილისი. სპორტის სასახლე. 25 სექტემბერი.**

**ცსკა — „შახტიორი" (დონეცკი) 122:72 (55:35).**

**ცსკა: ტარაკანოვი (23), გობოროვი (23), ბაზარევიჩი (18), ვოლკოვი (13), ბერეჟნოი (12), შჩეპოტკინი (10), პოპოვი (7), მინაევი (5), გორინი (5), ლოპატოვი (4), პონკრაშკინი (2).**

**„შახტიორი": გაზაევი (12), ივჩატოვი (11), ერმოლინსკი (8), ტრუშინი (7), ზავალინი (7), კროპაჩევი (7), შევჩენკო (6), ივახნენკო (6), ბელიაკოვი (4), პოლშინი (4).**

**მსაჯები: ო. გორბატოვი (კუიბიშევი), ა. ვოლჩიკინი (ლენინგრადი).**



**თბილისი. სპორტის სასახლე. 25 სექტემბერი.**

**„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 90:81 (52:45).**

**თბილისი: კაპუსტინი (34), დარსაძე (14), ტიუბინი (11), დერიუგინი (11), ბოროდაჩოვი (9), ოპოშნიანი (6), სანაძე (5), ფერიაშვილი.**

**მოსკოვი: შიშკოვი (27) სიზოვი (13), კოჩერგინი (12), სუხარევი (10), ჟიგილი (9), კორნიშინი (7), ოხოტნიკოვი (2), გადაშევი (1), ლინდინი, კოლიჩევი, შაკულინი.**

**მსაჯები: ი. აპოლონოვი (ლენინგრადი), მ. გაბაჩიევი (პიატიგორსკი).**

ცსკა-სა და „შახტიორს", კაცმა რომ თქვას, არაფერი აქვთ გასაყოფი. არმიელებს ამ ჩემპიონატში სხვა მიზანი ამოძრავებთ, „შახტიორს" კი სულ სხვა პრობლემების გადაჭრა მოუხდება. სწორედ ამის გამო შეხვედრა უკონფლიქტოდ ჩატარდა და მოსკოვის გუნდმა გათამაშების ცხრილში მეორე, დაგეგმილი გამარჯვება ჩაიწერა.

მართალი უთქვამთ: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. დონეცკის კალათბურთელებმა ამჯერად გაცლა ამჯობინეს და ენერგია მოსკოვის „დინამოსთან" შეხვედრისთვის შემოინახეს. როგორც ჩანს, გამარჯვების იმედი აქვთ! რამდენად დასაბუთებულია ეს იმედი, მალე გაირკვევა, მაგრამ გადაწყვეტილება, ალბათ, მაინც სწორი იყო. თუმცა დონეცკელებს მთლად უბრძოლველად თამაში არ დაუთმიათ. ერთხანს კბილებით იბრძოდნენ, მაგრამ როგორც კი მეტოქის ძალა იგრძნეს, გაცლა ამჯობინეს — ძირითადი ხუთეული დაასვენეს.

ჩავთვალოთ, რომ „შახტიორისთვის" ეს იყო სასარგებლო რეპეტიცია მძიმე და პრინციპული მატჩის წინ. სასარგებლო იმიტომ, რომ მწვრთნელმა თორმეტივე კალათბურთელის შესაძლებლობანი ერთხელ კიდევ შეამოწმა. ტაქტიკის პოზიციიდან ასეთი მსხვერპლი გამართლებულადაც შეიძლება ჩაითვალოს.

მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა მატჩს, ცხადია, სხვა ემოციური დატვირთვა ჰქონდა. მაგრამ დებიუტი თბილისელებმა უკეთ გაითამაშეს და ერთგვარი პოზიციური უპირატესობა მიიღეს. თუმცა რაღა პოზიციური, როცა მე-12 წუთის შემდეგ მთელი 15 ქულით იყვნენ წინ. . 15 ქულა ასეთ პრინციპულ ბრძოლაში, დაგვეთანხმებით, დიდი ფორაა. თუმცა ჩვენს გუნდს ამ უპირატესობის მისაღწევად გარკვეული მსხვერპლის გაღება მოუხდა: ბოროდაჩოვმა ზომაზე მეტად გაუფრთხილებელი და მოურიდებელი თამაშისთვის ოთხი ჯარიმა მიიღო და მისი სასწრაფოდ შეცვლა გახდა საჭირო.

ტაიმის მიწურულს, თბილისელთა მწყობრ მექანიზმს ბზარი გაუჩნდა და თხუთმეტქულიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. და მაინც, პირველი ნახევრის მიხედვით ჩვენს გუნდს მხოლოდ უმნიშვნელო პრეტენზიას თუ წავუყენებთ. მით უფრო, რომ ამ ტაიმში კაპუსტინი უჩვეულო „საკალათბურთო სასწაულებს" ახდენდა. ტაიმის დამთავრებამდე 54 წამით ადრე ბოროდა-

იხ. მე-4 გვ.

# გვეწვევა დიდი ბეისბოლი



ბეისბოლი საბჭოთა სპორტის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, უკვე რამდენიმე თვეა გაიხსნა სპეციალური ჯგუფები, გაიმართა საჩვენებელი, ამხანაგური, საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრებები. აი, ჩვენს რესპუბლიკაში კი პირველად ჩამოვლენ უცხოელი ბეისბოლისტები. თბილისსა და რუსთავში ამ თვის ბოლოს და ოქტომბრის პირველ დღეებში რამდენიმე მატჩი ჩატარდება სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების მონაწილეობით. მაშ ასე, ბეისბოლის მოყვარულებს შესაძლებლობა მიეცემათ პრაქტიკულად გაეცნონ ჩვენთვის სპორტის ამ ახალ სახეობას.

### 27 სექტემბერი ტურიზმის მსოფლიო დღეა



ბიჭვინთის კორპუსები „მაიაკი" და „ივერია", რომლებშიც მრავალი უცხოელი ტურისტი ისვენებს. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მასალა იხ. მე-3 გვ.

# SOS

## სკოლაში მეცადინეობა შეწყდა

წლევანდელი ახალი სასწავლო წლის წინ მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან თბილისის განათლების სამმართველოს საციგურაო სკოლის სამაცივრო დანადგარი. სკოლა დაიკეტა, მეცადინეობები არ განახლებულა. ეჭვის ქვეშ დადგა აგრეთვე რესპუბლიკის ფიგურისტების მონაწილეობა საკავშირო შეჯიბრებებში. ადრე „ლელომ" საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოიტანა სპორტის ამ სახეობაში ჩვენი სპორტსმენების სავალალო მდგომარეობა. მსჯელობას გადაწყვეტილებებიც მოჰყვა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყინული ადგილიდან არ დაძრულა.

ამ საკითხს ჩვენი გაზეთი ისევ დაუბრუნდება და კონკრეტულ დამნაშავეებსაც გაგაცნობთ.

### კიდევ ერთი მედალი

გუშინ ვიუწყებოდით, რომ იუნიორ არმიელთა საკავშირო ნაკრები გუნდის შემადგენლობაში თბილისელმა ზაზა ზანდარიშვილმა მეორე ადგილი დაიკავა. ლვოვში გამართულ ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის მესტენდურემ კიდევ ერთი მედალი მოიპოვა. ამჯერად ზაზა ზანდარიშვილი მეორე იყო პირად პირველობაში — 189 ქულა.

**სამშაბათს, თბილისში საირმის ქუჩაზე მდებარე საცურაო აუზში იწყება წყალბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირი. შეჯიბრება 2 ოქტომბრამდე გასტანს. დასაწყისი 17 საათზე.**

## დათვალიერება თუ თვალის ახვევა?

„არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე" — როგორც ცნობილია, ამ დევიზით მიმდინარეობს და 1 ნოემბრამდე გასტანს ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კონკურს-დათვალიერება, რომელსაც ჩვენს რესპუბლიკაში ერთობლივად ატარებენ პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და „ლელოს" რედაქცია.

კონკურს-დათვალიერებაში განსაკუთრებით აქტიურად ჩაებნენ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის კამვოლური დართვის კომბინატი „საბჭოთა საქართველოს" და ბათუმის ქიმიური ქარხნის კოლექტივები.

შეჯამდა პირველ ეტაპზე გაწეული მუშაობის შედეგები. რესპუბლიკაში უკვე მწყობრში ჩადგა 334 სპორტული მოედანი, ნაგებობა, ჯანმრთელობის ბილიკი, ქართული ჭიდაობის არენა, ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, ხელბურთის სათამაშო მარტივი, მოედნები, ოთხი სატრენაჟორო დარბაზი. სპორტული ბაზების მოწყობა გრძელდება.

**კოლექტივების ხელმძღვანელებს შევახსენებთ, რომ კონკურს-დათვალიერებაში მხოლოდ ის სპორტული ობიექტები იქნება ჩართული, რომელთა მოწყობა დაიწყო მიმდინარე წლის 1 ივლისიდან და წელსვე 1 ნოემბრამდე დასრულდება. ადრე ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ, რომ ბევრგან არ იცავენ დებულების მოთხოვნებს და პროფკავშირების სპორტული საზოგადოებების ადგილობრივი ხელმძღვანელები საკონკურსოდ გვთავაზობენ უკვე ადრე აგებულ ან ამჟამად გეგმიურად მშენებარე ბაზებს. მაგალითად, გეგეჭკორიდან გ. ჭილაიამ საკონკურსოდ წარმოადგინა ისეთი სპორტული ბაზები, რომელთა მშენებლობის დაწყება 1988 წელსაა გათვალისწინებული. ესაა ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია, რაიონის სპორტდარბაზისა და მუხურჩის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სპორტკომპლექსი, ხუნწის კოლმეურნეობის ფეხბურთის მოედანი და ა. შ. ახპინძიდან ვ. აფციაური უფრო კონკრეტულია — მიმდინარე წელს არაფრის მშენებლობა არ გვაქვს გათვალისწინებულიო. მახარაძიდან რ. მუჯირი ასევე 1988-90 წლებში ასაგებ სავარაუდო სპორტულ ბაზებს გვიდგენს საკონკურსოდ, მთავარზე კი სხვათა შორის დასძენს: „ამათ გარდა სოფლებში გათვალისწინებულია მარტივი ტიპის მოედნების მოწყობაო". ყაზბეგიდან ბ. ბულაშვილი — „დაპროექტებულია და 1988 წელს დაიწყება სპორტული დარბაზის მშენებლობა" და ა. შ. ხედავთ სადამდე მივყავართ უყურადღებობას და საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას?**

**რედაქცია სასწრაფოდ ელის საქმიან პასუხს ზემოაღნიშნული რაიონებიდან.**

**დანარჩენ რეგიონებში კონკურს-დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომრებში მოგითხრობთ.**

**გუშინ მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა ფეხბურთის ზეიმი, რომელიც დღესაც გაგრძელდება. ამ პოპულარულ თამაშს მართლაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს საქართველოში. სხვადასხვა ასაკის ადამიანები ფეხბურთისადმი სიყვარულს ამ დღეებში გამართულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობითაც გამოხატავენ.**





საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ითქვა: „უნდა მივაღწიოთ ფიზკულტურული მოძრაობის ნამდვილ მასობრიობას, რომ რესპუბლიკის თითოეული მცხოვრები და უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობა აქტიურად მისდევდეს სპორტს, რაც დიდი სახელმწიფოებრივი და პატრიოტული საქმეა“.

# მოზარდი დღევანდელი დღით ცხოვრობს...

**პროფტექნიკურ სასწავლებელში ყოველთვის და ყველგან დიდი ხალისით როდი მიდიან მოსწავლეები. მართალია, იქ ზოგად საშუალო განათლებასთან ერთად გარკვეულ პროფესიულ ცოდნასაც აძლევენ მოზარდებს და ეს უდავოდ მის უპირატესობაზე მეტყველებს, მაგრამ მოზარდი დღევანდელი დღით ცხოვრობს. სწორედ ამიტომ არის საჭირო მოსწავლეთა ცხოვრების ისე ორგანიზება, რომ მათ სასწავლებელში კომფორტის დეფიციტი არ იგრძნონ. ამ „კომფორტის“ უმნიშვნელოვანესი ელემენტი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისათვის საჭირო ბაზაა, რაც ძალიან აკლიათ პროფტექნიკურ სკოლებს...**

**მიღებული** აზრია, რომ ჩვენს დროში კაცს ადვილად ვერაფრით გააკვირვებ, მაგრამ **თბილისის 71-ე საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის** მაგალითმა ამ აზრის სისწორეში ცოტა არ იყოს დაგვაეჭვა. დამკვეთი რომ შენობის პროექტს შეუკვეთს, ცხადია, პირველ ყოვლისა, მისი ინტერესები უნდა გაითვალისწინონ, მაგრამ პროფტექნიკური სასწავლებლები წინასწარ ყოფილა კიევში დაპროექტებული. რატომ ვამახვილებთ ამ საკითხზე ყურადღებას ასე საგანგებოდ? ზემოთ დასახელებული სასწავლებლის შენობა სამი წლის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ. პროექტში სპორტდარბაზი და სასადილო გათვალისწინებული არ ყოფილა. ამის გამო მშენებლებს ნემსის ყუნწში გაძრომა დასჭირდათ, რომ ოთახები გაეერთიანებინათ და არასტანდარტული სპორტდარბაზი (10X8) და სასადილო მოეწყოთ. ასეთ დარბაზში რომ არ მოხერხდება ფიზკულტურის სრულყოფილი გაკვეთილის ჩატარება, ამის მიხვედრა, ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს. ამას ისიც დაემატა, რომ მშენებლებმა, საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სპეციალიზებული სამშენებლო ტრესტის მუშაკებმა, უამრავი ხარვეზი დატოვეს.

სასწავლებელს აქვს კალათბურთის კეთილმოწყობილი მოედანი. ეგაა, რომ ფარის უკან მაღალი ბადეა საჭირო, თორემ ქუჩაში გადავარდნილი ბურთი შეიძლება მანქანას შეუვარდეს.

**63-ე პროფტექნიკური სასწავლებლის** სპორტულ დარბაზში შესულ კაცს არ შეიძლება რომ დაეუფლოს „სიძველისადმი გრძნობა, პატივი“, აქ და გვერდით ოთახში უწესრიგოდ ყრია მწყობრიდან გამოსული ძველი სპორტული ინვენტარი.

დირექტორს ნება დაურთავს და დარბაზისთვის ფანჯრები მაინც და მაინც სამხრეთის მხრიდან ამოუჭოლავთ, რის გამოც საკმაოდ ბნელა. როდესაც ფიზკულტურის უფროს მასწავლებელს კანდიდ ყიფიანს სინათლის ანთება ვთხოვეთ, აღმოჩნდა, რომ აქ ელექტროგაანათება ათ წელზე მეტია მწყობრიდანაა გამოსული (სინათლის მომჭირნეობით ხარჯვაც ამას ჰქვია).



71-ე პროფტექნიკური სასწავლებლის სახსაპე სპორტული ინვენტარის საწყობადაა გადაქცეული.

დარბაზის კიდევ ერთი „სიკეთე“ ისაა, რომ ჭერიდან წყალი ჩამოდის. ეს პრობლემა „არ ახალია, ძველია“, მაგრამ ამას ისიც ემატება, რომ წყალი საძირკვლიდანაც შედის. მიზეზი? მშენებლებს (ალბათ მეტი სიმაგრისთვის) სპორტდარბაზი ნახევარი მეტრის სიღრმეზე მიწაში ჩაუსვამთ.

**კანდიდ ყიფიანი: ფიზკულტურის** უფროსი მასწავლებელი:— კარგად მახსოვს, რა სიხარულით ველოდი შარშანწინ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. საზაფხულო არდადეგებზე სპორტული დარბაზიც უნდა გარემონტებულიყო. მაგრამ... კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. დარბაზი იატაკ-ჭერიან-კედლებიანად ლურჯად დამხვდა შეღებილი. საქართველოს სამონტაჟო სპეცსარემონტო ტრესტის მმართველმა გურამ კაკულიამ თავი იმართლა, სხვა ფერის საღებავი არ გვქონდა და რა გვექნაო. იძულებული გავხდი მე თვითონ მეშოვა ღია ფერის საღებავი და მოსწავლეთა დახმარებით დარბაზი ხელახლა შემეღება. ელექტროგაყვანილობა მოუწესრიგებელი იყო, არც სხვა სარემონტო სამუშაოები შეესრულებინათ. ამ რამდენიმე წლის წინათ, იმის გამო, რომ თავის დროზე მშენებლებმა იატაკი პირდაპირ ცემენტზე დააგეს, ლპობა დაიწყო. მოსწავლეთა დახმარებით იატაკი ავყარეთ და ხელახლა, კოჭებზე დავაგეთ. რაც შეეხება ინვენტარს, ჩვიდმეტი წელია ახალი არაფერი შეგვიძენია.

**ფიზკულტურის მასწავლებელი გივი მარტყოფლიშვილი:**

— სპორტის ოსტატი ვარ ძიუდოში. მინდა ბიჭებს ვასწავლო ჭიდაობა, მაგრამ ამ ანტისანიტარიაში ვინ გაბედავს ვარჯიშს?

სასწავლებელს დიდი ტერიტორია უჭირავს. ერთ დროს აქ ყველა ტიპის ღია სპორტული მოედნები ჰქონდათ, დღეს კი მათი კვალიც აღარ ჩანს. შარშანწინ ფეხბურთის მოედანზე (გასასწორებლად) 200 მანქანა მიწა შემოზიდეს და ტრაქტორით მოასწორეს. თითქოს ამას ელოდნენო, სასწავლებელს საქარხნო რაიონის აღმასკომიდან ეწვივნენ — ფეხბურთის მოედანზე გასაბერი დარბაზის (62X36) დადგმა გვინდა, თქვენც ისარგებლეთ და მოსახლეობამაცო. სასწავლებლის დირექტორმა გერმან გოდერძიშვილმა რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დასტური მისცა. მშენებლობა დაუყოვნებლივ დაიწყო. ამოიყვანეს საძირკველი, დადგეს კომპრესორები, ააწყვეს და გაბერეს დარბაზის შესასვლელი ნაწილი. ბაზა წლეულს, პირველი კვარტლის ბოლოს უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პროექტი იყო საჭირო. დღეს პროექტი უკვე მზადაა და ალბათ საქმეც წინ წავა.

**— ეს დარბაზი თქვენი იქნება?—** ვკითხეთ გერმანე გოდერძიშვილს.

— იმის საშუალება არ გვექნება მწვრთნელებს ფული გადავუხადოთ. შენობა სამეურნეო ანგარიშზე იმუშავებს, პატრონის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

— ?!

აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ლილოს დასახლებაში საკმაოდაა შესაფერისი „ცარიელი“ ადგილები, ნუთუ არ შეიძლებოდა ეს დარბაზი სხვაგან მოეწყოთ? ამაზე ლაპარაკი ალბათ დაგვიანებულია, მაგრამ გულსატკენია, რომ ამის გამო სასწავლებელს ღია სპორტული მოედნები არა აქვს. თუმცა უკვე ფიქრობენ, რომ ერთ ადგილზე კალათბურთის მოედანი მოაწყონ.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამშენ მასალათა სამინისტრო მინიმალურ დახმარებასაც კი არ უწევს თავის საბაზო სასწავლებელს. ჩვენს მიერ ნანახი ამგვარი დასკვნის უფლებას გვაძლევს.

**75-ე საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელს** (დირექტორი დავით გურგენიძე) მოვლა-პატრონობა არ აკლია. თვალსა და გულს ახარებს გემოვნებით გაფორმებული ინტერიერი. სპორტულ დარბაზში (24X12) მუშაობს ზურაბ საკანდელიძის სახელობის კლუბი. აქ საშუალო სკოლების მოსწავლეებიც ვარჯიშობენ. სპორტული ბაზების მხრივ მეტი ყურადღება მართებთ. მაგალითად, დარბაზში იატაკი შესაკეთებელია, ხოლო ჭერიდან წვიმის წყალი ჩამოდის. მოუწესრიგებელია გასახდელებიც, საპაზანოში მხოლოდ ერთი შხაპი მუშაობს. რაც შეეხება კალათბურთის ღია მოედანს, იგი იმდენად ღიაა, რომ იქვე გვერდით მდებარე პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის სამშენებლო სერემონტო სამმართველოს კერძო მანქანები თავისუფლად შედიან. აქვე უნდა ვთქვათ, რომ სამმართველოს თანამშრომლებს „გამჭრიახობა“ გამოუჩენიათ, იმისთვის, რომ მანქანებს არაფერი დაუშავდეთ, კალათბურთის ფარზე რგოლი მოუხსნიათ. ეს მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდება, თუ მოედანს ღობეს არ შემოავლებენ.

აქვე გვერდით მდებარეობს **108-ე საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი.** სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა, ყოფილმა მძლეოსანმა ვიტალი ტარანმა გამოიგონა უაღრესად საინტერესო და პრაქტიკული სავარჯიშო კომპლექსი. მას აქვს შვედური კედელიც, სიმძიმეების ასაწევი (ფეხით, ხელებით, მხრებით), ბაგირი, კიბე, რგოლები, ტრენაჟორი. კომპლექსს საკმაოდ პატარა ადგილი უკავია. დირექტორმა რეჯიბ კიკვიძემ გვითხრა, რომ ხარჯთაღრიცხვის შედგენის შემდეგ სასწავლებელს შეუძლია მსურველებისათვის დაამზადოს ამგვარი კომპლექსი. სასწავლებელს აქვს არასტანდარტული, პატარა სპორტდარბაზი, სადაც ძალოსნობისა და ჭიდაობის სექციები იმუშავებენ.





63-ე პროფტექნიკური სასწავლებელი. ადრე აქ ფეხბურთის მოედანი იყო (ზევით); ასე გამოიყურება სპორტული დარბაზი.

აქვე უნდა ვუსაყვედუროთ სასწავლებლის საბაზო ორგანიზაციას — თბილმშენის № 1 სამშენებლო სამმართველოს. მათ დაიწყეს ღია სპორტული კომპლექსის მოწყობა, რომელიც ახალი სასწავლო წლისთვის უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ, მაგრამ ასფალტის სატკეპნი გაფუჭდა და თითქმის ორი კვირაა საშველი არ დაადგა მის ამუშავებას.

**ჩვენს მიერ დათვალიერებული ოთხი პროფტექნიკური სასწავლებლიდან დღეისათვის არსად არ მუშაობს სპორტული სექციები. ფიზკულტურის მასწავლებლებმა თავი იმით იმართლეს, სასწავლო წელი ესაა დაიწყო და ჯგუფების ჩამოყალიბება ვერ მოვასწარითო. ბავშვიც კი მიხვდება ამ „არგუმენტის“ უსაფუძვლობას. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ პროფტექნიკურ სასწავლებლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა არა მარტო ბაზების მოვლა-პატრონობას (ამ მხრივ, როგორც ვთქვით, წესრიგი მხოლოდ 108-ე სასწავლებელში იყო), არამედ, სპორტული სექციების მუშაობასაც.**

**ჯემალ კასრაძე.**





75-ე პროფტექნიკური სასწავლებელი. აქაც საშხაპეში საწყობია (მარცხნივ); ასე გამოიყურება კალათბურთის (შუაში) მოედანი; სპორტული დარბაზის ჭერი და კედლები (მარჯვნივ) წვიმის შემდეგ.



## ჩემპიონია თბილისის გუნდი

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშების მოჭადრაკეთა პირად-გუნდური პირველობა. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდნენ თბილისის (ორი გუნდი), აჭარის, სამტრედიის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, რუსთავის და სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები, სულ 38 გუნდი. (თითოეულის ღირსებას ორ-ორი ჭაბუკი და თითო გოგონა იცავდა).

საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა პირველი ტურიდანვე თბილისის, ქუთაისის, სამტრედიის, აფხაზეთის, ჩოხატაურისა და ცხაკაიას გუნდებს შორის წარიმართა. საბოლოოდ, 22,5 ქულით I ადგილი დაიკავა თბილისის პირველმა გუნდმა (იანის პოპოვი, ალექსი ლაზარაშვილი, ნათია ჯანჯღავა), 20 ქულით II ადგილზე გავიდა ქუთაისელთა კოლექტივი, მესამე იყო აფხაზეთის ნაკრები — 19,5 ქულა.

გოგონათა პირად პირველობაში იმარჯვა ნათია ჯანჯღავამ (თბილისი 1) — 8 ქულა. შემდეგ მოდიან მარინა გაგნიაშვილი (თბილისი 2)— 7, სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) — 6,5.

ჭაბუკთა ტურნირში I ადგილი 8 ქულით წილად ხვდა იანის პოპოვს, II ადგილი რამაზ ბალათურიამ (აფხაზეთი) დაიკავა — 7,5, მესამე — თემურ მასხარაშვილმა (ქუთაისი) — 7.

**ვასილ ვაშაკიძე.**

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

## „ტრიბუნებზე წესრიგი უნდა დამყარდეს“

**ჩვენს** გაზეთში 29 აგვისტოს ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, სადაც მოყვანილი იყო ფაქტი ჩხოროწყუს სტადიონზე რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩში მომხდარ წესრიგის დარღვევათა შესახებ.

ამ დღეებში პასუხი მივიღეთ ჩხოროწყუს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომიდან.

**„წერილში აღნიშნული ფაქტი სინამდვილეს შეეფერება, ჩხოროწყუს „სამეგრელოსა“ და ხობის „კოლხეთის“ მატჩის დამთავრების შემდეგ გულშემატკივრები გადმოცვივდნენ მინდორზე, არეულობით ისარგებლა ერთ-ერთმა მათგანმა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გვერდით მსაჯს. დამნაშავე ადგილზევე იქნა დაკავებული, იგი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.**

**ჩხოროწყუს რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა ეს საკითხი და მკაცრი შეფასება მისცა მომხდარ ინციდენტს. ხაზი გაესვა, რომ შინაგან საქმეთა განყოფილებამ, სახალხო რაზმეულებმა და სტადიონის ხელმძღვანელობამ ბოლომდე ვერ შეძლეს სტადიონზე წესრიგის დამყარება და ინციდენტის თავიდან აცილება. იმის გამო, რომ საჭირო სიფხიზლე ვერ გამოიჩინეს და ვერ უზრუნველყვეს წესრიგი, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს გამოეცხადა საყვედური, ხოლო სტადიონის დირექტორი განთავისუფლდა სამუშაოდან. შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ყურადღება მიექცა იმას, რომ განყოფილების მუშაკებმა ბოლომდე ვერ გაატარეს სათანადო ღონისძიებანი უდისციპლინობის აღსაკვეთად, განყოფილებას მკაცრად მოეთხოვა მუშაობის რადიკალურად გარდაქმნა. დაისახა სათანადო ღონისძიებანი, რათა ჩხოროწყუს სტადიონზე უზრუნველყოფილი იქნას სრული წესრიგი.“**

**დ. გოგებია,**
**ჩხოროწყუს რაიონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.**

27 სექტემბერი

ტურიზმის მსოფლიო დღეა

# ის, რაც გვაახლოებს

ბიჭვინთაში დასასვენებლად ყოველწლიურად მრავალი უცხოელი ტურისტი ჩამოდის. ისინი ეცნობიან ბიჭვინთის, სოხუმის, სოჭის ღირსშესანიშნაობებს, ადიან რიწის ტბაზე, დასასვენებელი სახლების ზონაში მათ განკარგულებაშია დიდი და პატარა ჩოგბურთის სარბიელი, წყლის თხილამურები, კეგელბანი...

ტურიზმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებს გავესაუბრეთ.

**სტანისლავა ჰალამკოვა** (პრეშოველი ბიოლოგი):

— ბიჭვინთა ჩემი საყვარელი დასასვენებელი ადგილია. წლეულს აქ მეოთხედ ჩამოვედი და ამით ყველაფერია ნათქვამი. საერთაშორისო ტურიზმი არა მხოლოდ მოგზაურობისა და აქტიური დასვენების, არამედ ადამიანთა დაახლოების საუკეთესო საშუალებაა. ეს კი მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას უწყობს ხელს.

**ივანე დუშენკო** (ბარდეიოველი მუშა):

— ცოლშვილთან ერთად ჩამოვედი. პანი ჰალამკოვას აზრს ვიზიარებ. ტურიზმი ადამიანებს აახლოებს და ამეგობრებს. დამეგობრებულები საერთო ძალით ვიბრძოლებთ მშვიდობისათვის. ასეა, ზოგი მრგვალ მაგიდასთან ბჭობს, ზოგი კალმით იბრძვის, სხვები მშვიდობის მარშს აწყობენ... გარწმუნებთ, ტურისტებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ საქმეში. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მოგზაურობის მოყვარულთ ტურიზმის საერთაშორისო დღე მივულოცო, ხოლო თქვენს სპორტსმენებს წარმატებები ვუსურვო.

**ავთანდილ ჟუჟუნაშვილი,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**

ბიჭვინთა—თბილისი.

# „ლოკომოტივი“—ჩვენი მეტოქე

ბულგარეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა

როცა აგვისტოში სტარტი აიღო ბულგარეთის 1987-88 წლების საფეხბურთო პირველობამ, მიმომხილველები ჩემპიონობის პრეტენდენტებად ორ გუნდს ასახელებდნენ. ეს გახლავთ „სრედეცი“ (მწვრთნელი დ. პენევი) და „ვიტოშა“ (მწვრთნელი ვ. მეთოდიევი) თავიანთი შემადგენლობებით და ავტორიტეტით მკვეთრად აღემატებიან პირველი ლიგის დანარჩენ 14 გუნდს. რაც შეეხება მესამე ადგილს, აქ ბრძოლა პლოვდივის „თრაკიას“ (მწვრთნელი ი. გლურჩევი), სოფიის „ლოკომოტივსა“ (მწვრთნელი აპოსტოლ ჩაჩევსკი) და სოფიის „სლავიას“ (რომელსაც საბჭოთა სპეციალისტი ოლეგ ბაზილევიჩი წვრთნის) შორის უნდა გამართულიყო. დღემდე გათამაშებული ტურები მთლიანად ადასტურებენ ამ პროგნოზს.

სტარტზე საუკეთესო შედეგებს მიაღწია სოფიის „ლოკომოტივმა“, თუმცა მას აქ შედარებით სუსტი მეტოქეები ჰყავდა. პირველ დღეს მან სტუმრად მოუგო პირველი ლიგის დებიუტანტს „მინიორს“ (ქ. პერნიკი). მასპინძლები განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ უფრო გამოცდილმა სოფიელებმა კარგად გამოიყენეს „მინიორის“ დაცვის შეცდომები და პეტკოვის მიერ გატანილი 2 ბურთის წყალობით მოიგეს მატჩი.

მეორე ტურში „ლოკომოტივი“ კვლავ სტუმრად თამაშობდა ბურგასის „ჩერნომორეცთან“. სოფიელებს არც აქ გასჭირვებიათ მოგება (2:0), გოლები გაიტანეს მეტკოვმა და ბონჩევმა.

მესამე ტურში ლოკომოტიველებმა ანგარიშით 2:0 მოუგეს „ვრაცას“.

მომდევნო ტურის მატჩი „ლოკომოტივმა“ ვარნაში ჩაატარა გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერ „სპარტაკთან“. როგორც „ნაროდენ სპორტის“ კორესპონდენტი პეტრ გერჩევი წერდა, სტუმრები მძლავრად და სწრაფად თამაშობდნენ, „სპარტაკმა“ კი ვერ გაუწია მათ სათანადო წინააღმდეგობა. 3:0 — ეს ანგარიში კარგად ასახავდა ლიდერის სრულ უპირატესობას. გოლები გაიტანეს სტოევმა (2) და მეტკოვმა. ამ ტურში გაიმარჯვეს ლიდერთა ჯგუფის დანარჩენმა წარმომადგენლებმაც, განსაკუთრებით დამაჯერებელი იყო „სრედეცის“ გამარჯვება (7:0) პლოვდივის „ლოკომოტივთან“, „სლავიამ“ ანგარიშით 2:0 მოუგო „სლივენს“.

მეხუთე ტური — მეხუთე მოგება! ამ დღეს „ლოკომოტივმა“ პლევენის „სპარტაკი“ მიიღო, რომელიც ამ მომენტისთვის გათამაშების ცხრილში მერვე ადგილზე იმყოფებოდა. ტოდოროვმა უკვე პირველივე წუთზე გაიტანა გოლი, სტოევმა 6 წუთის შემდეგ — მეორე. განუწყვეტელი იერიშები მიუხედავად მასპინძლებმა მეტს ვერაფერს გახდნენ, 89-ე წუთზე სტოევმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი. ამ მატჩის შემდეგ „ლოკომოტივი“ ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

„ლოკომოტივის“ თამაშის ჩრდილოვანი მხარეები ამ ჩემპიონატში პირველად VI ტურში გამოჩნდა. ამ დღეს სოფიელები პლოვდივში შეხვდნენ თავიანთ ერთ-ერთ მთავარ მეტოქეს საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში — „თრაკიას“. „თრაკიას“ მოთამაშეები არ მალავდნენ, რომ მათ მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, ამ გუნდს მართლაც სრული უპირატესობა ჰქონდა, მან „ლოკომოტივს“ ყველა კომპონენტში აჯობა. 59-ე წუთისთვის ანგარიში იყო 4:0 „თრაკიას“ სასარგებლოდ. შემდეგ სტოევმა ორი ბურთი გაქვითა, მაგრამ ბოლო, 90-ე წუთზე პაშევმა მაინც გაზარდა სხვაობა — 5:2.

**ბიჭი გამრეკელი.**

## ფედერაციის თასზე

**25 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის პირველი ეტაპის ბოლო, VI ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.**

„ბ“ ჯგუფის შეხვედრათა შედეგები ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო.

ჩვენი ჯგუფის საბოლოო ცხრილი ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფთჩი“ | 6 | 3 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| „დინამო“ თბ. | 6 | 2 | 3 | 1 | 11-7 | 7 |
| „გურია“ | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 5 |
| „არარატი“ | 6 | 1 | 2 | 3 | 7-9 | 4 |

დებულების თანახმად მეოთხედფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან ორი გუნდი გავიდა — „ნეფთჩი“ (ბაქო) და „დინამო“ (თბილისი). მეოთხედფინალის მატჩები ჯგუფებში გამარჯვებულ გუნდებს შორის შედგება 11 ოქტომბერს.

25 სექტემბერს გაიმართა კიდევ რამდენიმე მატჩი: „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:1, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 3:0, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (მინსკი) 2:1, „დინამო“ (კიევი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 3:2.

## II ლიგა

25 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 26-ე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ რამდენიმე შედეგს: სოხუმის „დინამომ“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:1 დაამარცხა თბილისის „შევარდენი“-სპი, მატჩი სამტრედიაში ადგილობრივ „ლოკომოტივსა“ და რუსთავის „მეტალურგს“ შორის დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით—2:0, ფოთის „კოლხეთმა“ მოუგო გორის „დილას“ — 2:0.

# „ჩემს ცხოვრებას ფეხბურთს ვუძღვნი“



**თბილისში მიმდინარეობს განვითარებადი ქვეყნების ფეხბურთის სპეციალისტთა საერთაშორისო სემინარი. საბჭოთა ფეხბურთის სტრუქტურის გასაცნობად ჩვენს ქვეყანაში მწვრთნელებთან ერთად ჩამოვიდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელებიც. რედაქციაში მოვიწვიეთ ერთ-ერთი მათგანი, სურინამელი დენის პურპერჰარტი, რომელმაც სულ ერთი თვის წინათ „აიაქსთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი და ახლა ამ სახელოვანი გუნდის იუნიორთა შემადგენლობაში თამაშობს.**

● **როგორ მოხვდით „აიაქსში“?**

— სრულიად შემთხვევით. ადრე სურინამის ერთ-ერთ გუნდში ვთამაშობდი, რომელიც ქვეყნის პირველ ლიგაში გამოდის. ჰოლანდიაში ტურისტად ვიყავი და შემთხვევით საფეხბურთო მინდორზე აღმოვჩნდი. იქ შემამჩნია „აიაქსის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა და მკითხა, ჩვენს გუნდში თამაშს არ ისურვებო? თან გამაფრთხილა, ეს ადვილი საქმე არ გეგონოსო. ბევრი არ მიყოყმანია...

● **რას წარმოადგენს „აიაქსის“ იუნიორთა გუნდი?**

— ძირითადი გუნდის რეზერვს. ჩვენ ცალკე ჩემპიონატი არა გვაქვს, ამხანაგურ და მეგობრულ მატჩებში ვხვდებით სხვა კლუბების მეორე შემადგენლობებს.

● **ვარჯიშობთ თქვენი გუნდის წამყვან მოთამაშეებთან ერთად „აიაქსის“ უფროსი მწვრთნელის, იოჰან კრუიფის ხელმძღვანელობით?**

— მართალია, ჩვენ ცალკე მწვრთნელი გვყავს, მაგრამ კრუიფი ხშირად იცლის ჩვენთვის. ზოგჯერ ძირითად გუნდთან ერთადაც ვვარჯიშობთ.

● **რას იტყვით კრუიფზე, როგორც ფეხბურთელზე, როგორც მწვრთნელზე?**

— სამხრეთ ამერიკაში ადამიანები იმისთვის იბადებიან, რომ ფეხბურთი ითამაშონ, ევროპაში — ფეხბურთის თამაში რომ ისწავლონ. კრუიფმაც ევროპული თამაში ისწავლა, მაგრამ უდიდესი ტალანტის წყალობით ამ ორ საფეხბურთო სკოლას შორის ზღვარი წაშალა.

ამიტომაც კრუიფთან ვარჯიში ყოველთვის დიდი ზეიმია, ვარჯიშები უმისოდ და მასთან ერთად ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. მეამაყება, რომ შემიძლია მას უფროსი მეგობარი ვუწოდო.

● **თვითონ კრუიფი თუ გამოდის მინდორზე?**

— წვრთნის დროს ყოველთვის გუნდთან ერთად თამაშობს, მაგრამ რასაკვირველია, ის კრუიფი აღარ არის, რომელიც ადრე გინახავთ.

● **როგორია „აიაქსის“ გეგმები წლევანდელ სეზონში?**

— მართალია, გუნდმა შარშან თასების თასი მოიპოვა, მაგრამ მას ამჟამად მაინცდამაინც არ ულხინს. „აიაქსიდან“ წავიდა ვან ბასტენი, კლუბში ახალი ფეხბურთელები კი მოვიდნენ, მაგრამ ისინი ძირითად შემადგენლობაში ჯერჯერობით არ ჩანან. ამჟამად ქვეყნის პირველობაში მეოთხე ადგილზე ვართ, მაგრამ ჩემპიონობის გარდა სხვა შედეგი არ გვაკმაყოფილებს.

● **რამდენ ხანს ვარჯიშობთ დღეში? ვარჯიშის პირობებზეც გვითხარით ორი სიტყვა.**

— ჩვენ პროფესიონალები ვართ და ამით ყველაფერია ნათქვამი, პირობები, რა თქმა უნდა საუცხოოა. „აიაქსს“ თავისი საფეხბურთო სკოლა აქვს. ვინც იქ სწავლობს, დღეში ერთხელ ვარჯიშობს. მე და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდას გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენი ცხოვრება მთლიანად ფეხბურთს მივუძღვნათ, ამიტომ იმ სკოლაში არ დავდივართ და დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ, ისე, როგორც პირველი გუნდის მოთამაშეები.

● **როგორ ფიქრობთ, როდის მოახერხებთ ძირითად შემადგენლობაში თამაშს?**

— ეს მთლიანად ჩემზეა დამოკიდებული. ახლა 18 წლისა ვარ. როცა სურინამში ფეხბურთის თამაში დავიწყე, თავიდან არაფერი გამომდიოდა, მაგრამ შემდეგ საქმე სწრაფად წავიდა წინ. ვიცი, „აიაქსში“ წინსვლა უფრო გამიჭირდება, მაგრამ იმედს არ ვკარგავ... პელე, კრუიფი, მარადონა გულშემატკივართა და ახალგაზრდა ფეხბურთელთა წარმოდგენაში სათაყვანებელ გმირებად დარჩნენ. მაგრამ თამაშის წინ ჩემს თავს ვარწმუნებ, რომ ისინი, ბოლოს და ბოლოს, ჩვეულებრივი მოკვდავნი არიანი, ისეთივე, როგორიც მე და რომ მეც მათებურად, იქნებ უკეთესად შემიძლია თამაში. ყოველთვის ამ რწმენით გავდივარ მოედანზე... იმედი მაქვს მერმისს პირველ გუნდში მოვხვდები. ყველაზე მეტად გუნდში დისპეტჩერის როლის შესრულება მიყვარს.

● **საბჭოთა ფეხბურთს თუ იცნობთ?**

— მართალია, დიდი ხანი არ არის რაც ევროპაში ჩამოვედი, მაგრამ იმ გუნდებს, რომელიც კონტინენტის საკლუბო პირველობისთვის იბრძვიან, საკმაოდ კარგად ვიცნობ. მაგალითად, მოსკოვის „სპარტაკს“, კიევის „დინამოს“... თბილისის „დინამოს“ შესახებ კი არაფერი მსმენია (სტუმარმა „დინამოს“ მიერ 1981 წელს მოპოვებული წარმატების შესახებ არაფერი იცოდა, იკითხა, თქვენი კლუბი როდის იყო ქვეყნის ჩემპიონიო).

● **გმადლობთ ინტერვიუსთვის. გისურვებთ მალე გეთამაშოთ „აიაქსის“ ძირითად შემადგენლობაში და ევროპულ ტურნირში შეხვედროდით... თბილისის „დინამოს“.**

— ყაბულსა ვარ, სიამოვნებით.

ესაუბრა
**გიორგი ჩოჩიშვილი.**

სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში ● I ლიგა

# დღეს ბოლო ტური

**თბილისის** ასკ-ისა და ქდანოვის „აზოვის“ წყალბურთელებმა IX-XVI ადგილებისთვის ბრძოლა ქულათა საუკეთესო მარაგით (14-14) დაიწყეს. ისინი თბილისში მეხუთე დღემდეც (20-20 ქულით) ლიდერობდნენ. მათ შეხვედრაში გამარჯვებული გუნდი დარჩენილი მატჩების შედეგების მიუხედავად, ლიგაში ვადამდე ადრე ინაღდებდა ადგილს, თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში კი ტურის დამთავრებამდე მათი ბედი კვლავ გაურკვეველი რჩებოდა. ბუნებრივია, არც თბილისელებს და არც ქდანოველებს არ უნდოდათ საქმე საჭოჭმანოდ გაეხადათ. ასე რომ, მათი შეხვედრა მეტად პრინციპულ და დაძაბულ ბრძოლას გვპირდებოდა და მოლოდინი გაგვიმართლდა.

ორივე გუნდმა თავგამოდებით, მთელი ძალების მობილიზებით იბრძოლა. მესამე პერიოდის ბოლომდე უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. ალბათ ასეთი დაძაბული თამაშის შედეგი იყო ის, რომ პირველ პერიოდში სტუმართა გუნდის მცველმა ნარიცამ მოულოდნელად ბურთი... საკუთარ კარში გაგზავნა. წყალბურთში ასეთი რამ უიშვიათესი შემთხვევაა.

მასპინძლებმა განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ბოლო, მეოთხე პერიოდში, რომლის დაწყებამდე ანგარიში 8:8 იყო. ამ სიტუაციაში ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომელი გუნდი როგორ გამოიყენებდა კარის აღების შანსს. მეოთხე პერიოდში თბილისელ არმიელებს ორჯერ აღმოაჩნდათ ზედმეტი მოთამაშე და რიცხობრივი უპირატესობა ორივეჯერ გამოიყენეს. გარდა ამისა, მეტოქის კარში კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს.

რაც შეეხება ქდანოველებს, მათ რიცხობრივი უპირატესობა ერთხელ ჰქონდათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, მხოლოდ შეხვედრის მიწურულს შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა.

საბოლოოდ მატჩში თბილისელებმა, I ლიგის დებიუტანტებმა, გაიმარჯვეს ანგარიშით 11:9 (4:4, 2:2, 2:2, 3:1).

მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ცოტაძემ (3), ასათიანმა, ლიპარტელიანმა, ხარჩილაძემ (2-2) და წულაძემ.

საინტერესოა რომ ამ მატჩში თბილისელებმა რვიდან ექვსჯერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, რაც ძალზე კარგი მაჩვენებელია (სტუმრებმა ექვსიდან — სამჯერ).

ამ დღის მატჩებიდან გამოვყოფთ ბაქოს რესპუბლიკური უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის გუნდისა და ტაშკენტის „მეხნატის“ შეხვედრას. მანამდე „მეხნატმა“, რომელსაც უმაღლეს ლიგაში თამაშის საკმაო გამოცდილება აქვს, თბილისში ყველა შეხვედრა მოიგო, ბაქოელებთან მატჩი კი ფრედ (8:8) დაამთავრა.

როგორც იცით, ვორონეჟის სკა და ერევნის რესპუბლიკური უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის წყალბურთელებს თბილისის ტურის მეორე დღის შემდეგ ლიგაში დარჩენის ყველა იმედი გადაეწურათ. ამ გუნდებს მოსკოვის სკიფ-ის წყალბურთელებიც შეუერთდნენ. თუ კიდევ რომელი გუნდი დატოვებს I ლიგას, დღეს პირველობის ბოლო ტურში გაირკვევა.

გუშინ თბილისელი არმიელები მოსკოვის სკიფ-ის წყალბურთელებს შეხვდნენ. ამ მატჩის შედეგს არც ერთი მხარისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ სკიფ-ი მთლად უსახელოდ ლიგაში ადგილის დათმობას არ ისურვებდა, ხოლო მასპინძლები მეტი ავტორიტეტის მოპოვებას შეეცდებოდნენ.

მართლაც ბრძოლა მეტად დაძაბული გამოდგა. მასპინძლებმა, როგორც ჩანს, მოსკოველთა ძალა რეალურად ვერ შეაფასეს და სარბიელზე იოლი გამარჯვების რწმენით გამოვიდნენ, სტუმრებმა კი, როგორც იტყვიან, ბრჭყალები გამოაჩინეს. თბილისელები კარგახანს მდევრების როლში აღმოჩნდნენ და ძალების მობილიზება გაუჭირდათ. გამარჯვების სასწორი, მართალია, საბოლოოდ თბილისელთა მხარეს გადაიხარა, მაგრამ წარმატების მოპოვება საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. ამაზე მატჩის ანგარიშიც — 12:10 (3:4, 2:2, 5:3, 2:1) მეტყველებს.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: ცოტაძემ (4), ლევან წულაძემ (3), კელაურაძემ (?), ხარჩილაძემ, დემეტრაშვილმა და ასათიანმა.

ამ გამარჯვებით თბილისელებმა, მიუხედავად დარჩენილი კიდევ ერთი შეხვედრის ანგარიშისა, IX ადგილი დაიკავეს.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ვტუზ-ი — სკ (ვორონეჟი)— 15:6, „მეხნატი“ — „აზოვი“—12:12, ბაქო — ერევანი — 14:7.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

## კვირიდან კვირამდე

**„კომსომოლსკაია პრავდა“**. 22 სექტემბერი. „ატლანტიდის ეფექტი“, ანუ ვის როგორ ესმის და ვინ როგორ აბარებს შდ ნორმატივებს.

„შპრიცი ჩემპიონის ჩანთაში“. რა უფრო მნიშვნელოვანია, სამედიცინო პრეპარატები თუ დაძაბული ვარჯიშები?

**„სოვეტსკი სპორტი“ — 20 სექტემბერი.** რუბრიკით „ინტერვიუ საავადმყოფოს პალატაში“ გაზეთი აქვეყნებს საუბარს არვიდას საბონისთან.

**23 სექტემბერი.** „არ არის საჭირო „მეისრის“ ძებნა“. მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს ეგრეთ წოდებულ უპერსპექტივო ბავშვებზე.

**25 სექტემბერი.** წერილით „აგვისტოდან — თებერვალში“, გაზეთი იწყებს სტატიების ბეჭდვას, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა კალათბურთის ოსტატების ავსტრალიური და ახალზელანდიური ტურნეს შესახებ.

**26 სექტემბერი.** „სიმაღლისგან თავბრუ არ გეხვევა“. ინტერვიუ წარსულში ცნობილ სიმაღლეზე მხტომელ. რომის ოლიმპიადის ჩემპიონ რობერტ შავლაყაძესთან.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# უპირატესობა უნდა შევინარჩუნოთ

(დასასრული)

ჩოვმა მეხუთე ჯარიმა მიილო. ეს უკვე სერიოზული დანაკლისი იყო.

რა მოხდა შესვენებაზე ვერ გეტყვით, მაგრამ მეორე ტაიმში სათამაშოდ სულ სხვა მოსკოვის „დინამო" გამოვიდა. სამი წუთის შემდეგ წვითა და დაგვით მოპოვებული უპირატესობა ერთ ქულამდე (52:51) შემცირდა. აქ ერთი მცირე შენიშვნა უსათუოდ უნდა გავაკეთოთ. პირდაპირ გასაკვირია: რა ძნელად მოდის უპირატესობა და რა ადვილად, ერთი ხელის მოსმით ვკარგავთ. ამ წუთიდან შეხვედრის დამთავრებამდე ფაქტიურად ახალი მატჩის მომსწრე ვიყავით. ეს მიკრომატჩი ჩვენმა გუნდმა 9 ქულით მოიგო, ვითომ არც პირველი ტაიმი ყოფილა და არც 15-ქულიანი უპირატესობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორმოცი წუთის განმავლობაში ორი, დამოუკიდებელი მიკრო-მატჩი ხომ ორმაგი ფსიქოლოგიური დატვირთვაა...

და მაინც, შეხვედრა რომ ჩვენთვის სასურველი შედეგით დამთავრდა, ეს მთელი გუნდის დამსახურებაა და მოთამაშეთა საბრძოლო სულისკვეთებაზე, მონდომებაზე, მტკიცე ხასიათზე მიგვანიშნებს. ოღონდ საკითხავია, გვეყოფა კი ეს ენთუზიაზმი გასვლით მატჩებში, ან მოგვცემს თუ არა მეტოქე ზხვა-ზირობებში ამის საშუალებას? ამიტომ უმჯობესია უპირატესობის შენარჩუნების, ხელოვნებას დავეუფლოთ, პირველიდან ბოლო წუთამდე ყურადღებით, მაქსიმალურად მობილიზებულნი ვიყოთ.

ამ დღეს თბილისელებმა ძნელი გამოცდა ჩააბარეს და უაღრესად რთულ პირობებში რვა კალათბურთელი გამოსცადეს. როგორც ხედავთ, თბილისის „დინამოს" სკამი ოდნავ „დაგრძელებულა". ეს კარგი ნიშანია, განსაკუთრებით შარშანდელი სეზონის ფონზე, როცა ბრძოლის მთელი სიმძიმე მხოლოდ პირველი ხუთეულის კისერზე გადადიოდა.

მოსკოვის „დინამოს", რა დასამალია და, „უკეთესი სკამი" ჰქონდა, რამაც მას თერთმეტი კალათბურთელით თამაშის საშუალება მისცა. მაგრამ ეს, ამავე დროს, მატჩის მსვლელობით ნაკარნახევი უკიდურესი ზომა იყო, რასაც გუნდი ყოველთვის, ცხადია, ვერ მიმართავს. ამ დღეს ხუთმა მოსკოველმა კალათბურთელმა იძულებით დატოვა მოედანი, კიდევ ორი კი მატჩის ბოლომდე 4-4 ჯარიმით თამაშობდა.

არც თბილისელები აღმოჩნდნენ უკეთეს დღეში. ბოროდაჩოვის შესახებ უკვე მოგახსენეთ — თამაშს იგი პირველსავე ტაიმში გამოეთიშა. მოედნის დატოვება მოუხდა ოპოშნიანსაც (პირველი ტაიმი მან ბრწყინვალედ ჩაატარა — განსაკუთრებით პროდუქციულად ფარქვეშ იბრძოდა), დარსაძესაც (იგი, კაპუსტინთან ერთად ჩვენი ყველა შეტევის სულისჩამდგმელი და ორაგნიზატორი იყო), ოთხი ჯარიმის შემდეგ იგივე ბედი ელოდათ კაპუსტინს (მატჩის საუკეთესო მოთამაშეს, რომელმაც გუნდს 35 ქულა შესძინა), სანაძესა და დერიუგინს (ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ისინი ჩვეულ ფორმას იბრუნებენ). კიდევ კარგი, რომ თამაში უკვე მთავრდებოდა და მეტოქის რესურსები მთლიანად ამოწურული იყო...

**ნ. ბუბუშვილი.**

## გუშინ...

**გაიმართა თბილისის ჯგუფის ორი ბოლო მატჩი, რომლებიც ასეთი შედეგებით დამთავრდა: ცსკა — „დინამო" (თბილისი) 93:67 (40:37), „დინამო" (მოსკოვი) — „შახტიორი" (დონეცკი) 75:74 (42:48).**

### გათამაშების ცხრილები

**თბილისის ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 204-148 | 4 |
| „დინამო" (თბ.) | 2 | 2 | 0 | 176-164 | 4 |
| „დინამო" (მოსკ.) | 2 | 0 | 2 | 157-172 | 2 |
| „შახტ." (დონ.) | 2 | 0 | 2 | 155-208 | 2 |

**ლენინგრადის ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „კალ." (ტალ.) | 2 | 2 | 0 | 183-170 | 4 |
| „სპარტ." (ლენ.) | 2 | 1 | 1 | 203-181 | 3 |
| ასკ (კიევი) | 2 | 1 | 1 | 198-182 | 3 |
| „სტროიტ." (კ.) | 2 | 0 | 2 | 180-231 | 2 |

**მინსკის ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირ." (კაუნ.) | 2 | 2 | 0 | 196-171 | 4 |
| რტი (მინსკი) | 2 | 1 | 1 | 190-192 | 3 |
| ვეფ (რიგა) | 2 | 1 | 1 | 199-204 | 3 |
| „სტატიბა" (ვილ.) | 2 | 0 | 2 | 164-182 | 2 |

* * *

**შენიშვნა:** ცხრილებში შეტანილი არ არის გუშინდელ შეხვედრათა შედეგები.

# დებიუტანტიც ასეთი უნდა

**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.**

**ლენინგრადი.** ეს უკვე სენსაცია აღარაა. ტალინის „კალევი", როგორც ჩანს, უმაღლეს ლიგაში საკმაოდ სერიოზული გეგმებით და დიდი პრეტენზიებითაა მოსული. თორემ ზედიზედ მეორე მატჩის მოგების საშუალებას არავინ მისცემდა, მით უმეტეს რიგის არმიელთა კოლექტივი. ესტონელმა კალათბურთელებმა პირველი ნახევარი თერთმეტი ქულით (55:44) მოიგეს. მაგრამ საბოლოო წარმატებისთვის ეს სხვაობა მთლად საკმარისი არ აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში არმიელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და მხოლოდ მატჩის მიწურულში დაუთმეს დებიუტანტს უპირატესობა. „კალევმა" გაიმარჯვა 90:89. ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვებაა.

ლენინგრადის „სპარტაკი" პირველი ნოკაუტის შემდეგ (თავის მოედანზე კიევის არმიელებთან 17 ქულით დამარცხდა), როგორც ჩანს, გონს მოვიდა და ასეთივე მწვავე ხვედრი არგუნა კიევის „სტროიტელს". ნევისპირელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 122:88 (66:32).

**მინსკი.** „ჟალგირისს" მართალია უჭირს, მაგრამ სურს დაამტკიცოს, რომ თამაში უსაბონისოდაც შეუძლია. გუნდი ამას ჯერჯერობით ახერხებს. მეორე ტურში კაუნასელმა კალათბურთელებმა რიგის ვეფ-ი დაამარცხეს — 99:87, თუმცა კი პირველი ტაიმი დათმეს — 49:53.

პირველი გამარჯვება ჩაიწერა სატურნირო ცხრილში მინსკის რტი-მ. ამჯერად მან ვილნიუსის „სტატიბას" აჯობა — 85:80 (45:42).

## საჭადრაკო კომპოზიცია

**ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე**

### რომის პაპის გატაცება

**ეს** ამბავი ახლახან იტალიაში მოხდა. მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ალბანოსტბის მიდამოებში რომის პაპმა (აქ მისი ქალაქგარე რეზიდენციაა) მიიღება მოაწყო ამ დიდი სპორტული ფორუმის მონაწილეებისა და სტუმრებისათვის. ორი ათასამდე სპორტსმენი, ჟურნალისტი და ჩემპიონატის სტუმარი ყურადღებით უსმენდა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურის მოკლე სიტყვას, წარმოთქმულს სპორტის სადიდებლად ინგლისურ, იტალიურ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ და პოლონურ ენებზე. პაპის სიტყვაში, რომელიც ოლიმპიური თამაშების ამაღორძინებლის პიერ დე კუბერტენის განთქმულ „ოდას სპორტზე" ეხმაურება, მშვიდობისა და ახალგაზრდა თაობის ბედით შეშფოთება იგრძნობოდა.

როგორც ირკვევა, ახალგაზრდობაში, კრაკოველი კათოლიკე — სტუდენტი კაროლ ვოიტილა კარგი სპორტსმენი ყოფილა და ჭადრაკსაც კარგად თამაშობდა. 1964 წლიდან იგი კრაკოვის არქიეპისკოპოს-მიტროპოლიტია, 1978 წელს კი 58 წლის ვოიტილა რომის პაპი გახდა — იოანე პავლე II სახელით. ცნობილია, რომ ადრეულ საუკუნეებში პაპების და ეპისკოპოსების უმეტესობა ჭადრაკთან მწყრალად იყო — მას აზარტულ თამაშად თვლიდა და სდევნიდა კიდეც, მაგრამ იყვნენ ჭადრაკის მოყვარულებიც. რაც შეეხება უკანასკნელს, იგი ჭადრაკის მოტრფიალე თავისი წინამორბედებისაგან იმით გამოირჩევა, რომ საჭადრაკო კომპოზიციასაც ეზიარა და ომისშემდგომ 40-იან წლებში ამოცანებიც კი გამოაქვეყნა პოლონეთის პრესაში.

ამის შესახებ თავის მკითხველებს აუწყა ფრანგულმა საჭადრაკო ჟურნალმა „ეუროპ ეშეკ"-მა, რომელშიც დაბეჭდილია მისი ოთხი ამოცანა. ერთ-ერთ მათგანს დღეს გთავაზობთ ამოსახსნელად.

**კ. ვოიტილა, 1946**



შამათი ორ სვლაში

ამ ორსვლიანი ამოცანის იდეა და ამოხსნა არ არის რთული, რაშიც ჩვენი მკითხველი თავად დარწმუნდება. მაგრამ, ვინ იცის, როგორ ამაღლდებოდა ავტორის საკომპოზიციო ოსტატობა, მას რომ რელიგიის მსახურის კარიერის შექმნა არ დაესახა მიზნად.

### ყველაფერი ბიძით დაიწყო

რომის პაპის საჭადრაკო პოეზიით გატაცების მიზეზად მისი ბიძა — გამოჩენილი პოლონელი პრობლემისტი მარიან ვრუბელი (1907-1960) უნდა მივიჩნიოთ, რომლის ხელმძღვანელობითაც იგი სტუდენტობისას ეუფლებოდა ამოცანების შედგენის ხელოვნებას. ლვოვში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვრუბელმა 1932 წელს ვარშავის უნივერსიტეტის დიპლომი და პოლონური ფილოლოგიის მაგისტრის წოდება მიიღო. პირველი ამოცანა 15 წლისამ დაბეჭდა, ხოლო სტუდენტობის წლებში საერთაშორისო კლასის აღიარებული საჭადრაკო კომპოზიტორი გახდა. ომისშემდგომ წლებში [illegible] უძლიერეს პრობლემისტად ითვლებოდა [illegible] ათასი ნაწარმოები და ორასამდე პრიზი დაიმსახურა), სამსაჯო და ჟურნალისტურმა მოღვაწეობამ დიდი როლი შეასრულა პოლონური საჭადრაკო კომპოზიციის განვითარებაში. მისი თვალსაჩინო საკომპოზიციო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად მარიან ვრუბელი პოლონეთის მთავრობამ უმაღლესი ორდენით — „ოქროს ჯვრით" დააჯილდოვა.

**მ. ვრუბელი, 1948**



შამათი 3 სვლაში

ველით თქვენს პასუხებს, ძვირფასო მეგობრებო!

### ამოხსნა

„ლელოს" 13 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი ფ. ვარდენერის ოხსვლიანი ამოცანის ამოხსნა: 1. ედ1! h5 2. ეც1! მფ:d5 3. კf5.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც ყველაზე ადრე გამოგზავნა პასუხი: ო. მამულაშვილი, ვ. ცვახარია (ორივე—თბილისი), ა. მაჩიტაძე (სამტრედია).

# რეკორდი გაიმეორა

**ბაკურიანში** გაიმართა ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება სათხილამურო ორჭიდში 70-მეტრიან ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე და კროსში 7,5 კილომეტრზე ე. წ. „გუნდერსონის მეთოდით".

ხტომებში საუკეთესო იყო სვერდლოვსკელი სპორტის ოსტატი, 24 წლის პაველ შილკოვი („დინამო"). მან 87 და 89,5 მეტრზე იფრინა და ბაკურიანის ტრამპლინის რეკორდი გაიმეორა, რომელიც ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა გორკელმა ალექსანდრე მაიოროვმა დაამყარა 1985 წელს. მაგრამ პ. შილკოვმა კროსის დისტანციის გავლას 27 წუთი და 49 წამი მოანდომა და ორჭიდის ჯამში... მე-19 ადგილზე აღმოჩნდა. ტრასა ყველაზე მოკლე დროში განვლო 21 წლის ლენინოგორსკელმა სპორტის ოსტატმა მარსელ გირფენოვმა (24.00, შეიარაღებული ძალები), რომელიც საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა სსრ კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორი, ქვეყნის ნაკრების წევრი, 21 წლის მოსკოველი სპორტის ოსტატი ანდრეი დუნდუკოვი. ხტომებში მან მეხუთე შედეგი აჩვენა (82 და 85 მეტრი), 7,5 კილომეტრი კი 24 წუთსა და 11 წამში დაფარა.

ხტომებსა და რბენაში სტაბილურად იასპარეზეს სვერდლოვსკელმა სპორტის ოსტატებმა, დინამოელებმა ევგენი ლოსევმა (86 და 87 მეტრი, დრო — 25,09) და სერგეი შორიკოვმა (ნახტომები 84 და 82,5, დრო — 25,01), რომლებმაც შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

— ბაკურიანის ამ 70-მეტრიანმა ტრამპლინმა, რომელზეც აგვისტოში ახალი ხელოვნური საფარი დაიგო, გამოცდა კარგად ჩააბარა, — გვითხრა სსრ კავშირის ორჭიდელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვლადიმერ სოროკინმა და იქვე სინანულით დასძინა: სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით დიდ ტრამპლინზე. როდემდე უნდა იყოს დაკონსერვებული ბაკურიანის 90-მეტრიანი გიგანტი? აქ ხომ დიდი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები ტარდებოდა. სხვათა შორის, ნავარაუდევი იყო, რომ იანვარში აქ მფრინავ მოთხილამურეთა ქვეყნის ნაკრები მოემზადებოდა კალგარის თეთრი ოლიმპიადისთვის, მაგრამ...

მართლაც, ნაცვლად იმისა, რომ მშენებლები აჩქარებულიყვნენ, მუშაობა ფაქტობრივად შეწყვიტეს. როდემდე გაგრძელდება ასე?!

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
**„ლელოს" კორ.**

ბაკურიანი.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 27 სექტემბერი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1)**; „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.15 (1)**, ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი ფრენბურთში: ჰოლანდია — სსრ კავშირი — **16.50 (2)**; სსრ კავშირის თასის ფინალი კრივში — **18.35 (2)**, საფეხბურთო მიმოხილვა — **22.50 (1)**.

**28 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **9.35 (1)** და **20.30 (2)**; ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი ფრენბურთში: სსრ კავშირი — იუგოსლავია — **0.20 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 27 სექტემბერი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **22.50.**

**28 სექტემბერი.** სპორტული გადაცემა: ეს ბეისბოლია — **16.50.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი**
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)
**რეგბი**
საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი
**27 სექტემბერი**
**„შევარდენი"** (თბილისი) — **„ფილი"** (მოსკოვი)
დასაწყისი 14 საათზე
**„ელმავალი"** (თბილისი) — **„ლოკომოტივი"** (მოსკოვი)
დასაწყისი 16 საათზე.

პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭო ყოველი კვირის სამშაბათობით, დილის 10-დან 13 საათამდე, კიროვის სახ. ქარხნის კლუბში (მეტროს სადგურ „დიდუბესთან", მაგნიტოგორსკის ქ. 1) ატარებს ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტთა თათბირ-სემინარს, რომელზე დასწრებაც სავალდებულოა კოლექტივებისა და სპორტული კლუბების ყველა შტატიანი ფიზკულტურის მუშაკთათვის.

ტელეფონები: 99-70-41, 99-51-22, 99-64-33, 93-42-86.

**„სპორტპროგნოზი": მე-40 ტირაჟი (3-4 ოქტომბერი)**

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 1. „პამირი" (დუშანბე) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 3.X | 30 | 60 | 10 |
| 2. „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) | 3.X | 60 | 20 | 20 |
| 3. „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „დაუგავა" (რიგა) | 3.X | 20 | 40 | 40 |
| 4. „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „როსტსელმაში" (როსტოვი) | 3.X | 60 | 30 | 10 |
| 5. „ტორპედო" (ქუთაისი) — „კოლხეთი" (ნიკოპოლი) | 3.X | 30 | 50 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 6. ცსკა — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 3.X | 30 | 30 | 40 |
| 7. „დინამო" (მოსკოვი) — „შახტიორი" (დონეცკი) | 4.X | 70 | 20 | 10 |
| 8. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) | 4.X | 50 | 20 | 30 |
| 9. „დინამო" (მინსკი) — „ქაირათი" (ალმა-ათა) | 4.X | 60 | 30 | 10 |
| 10. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (კიევი) | 4.X | 20 | 50 | 30 |
| 11. „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 4.X | 30 | 10 | 60 |
| 12. „დინამო" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) | 4.X | 70 | 20 | 10 |
| 13. „ნეფთჩი" (ბაქო) — „არარატი" (ერევანი) | 4.X | 70 | 20 | 10 |

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66405**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08002